

დღისუბანი

La Géorgie indépendante
ბილთონი
Edition mensuelle

1926 წ. მარტი.

№ 3.

ფასი 2 ფრ.

1926. — MARS N° 3

Prix : 2 fr.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ხ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ხ ა გ რ თ ო რ გ ა ნ ო .

რუსეთ-საფრანგეთის კონფერენცია.

მოსკოვი ერთგულ კიდევ ცდის თავის ბედს, რომ სული კბილით შეინარჩუნოს: ის აწარმოებს მოლაპარაკებას საფრანგეთის მთავრობასთან. პირველად მან სცადა ბედი ინგლისთან 1924 წ. და ვიციტ რით დამთავრდა. მაკდონალდის მთავრობამ ხელი მოაწერა მოსკოვთან ერთგვარ შეთანხმებას, საიდანაც გამომდინარეობდა უმთავრესი სადაო კითხვები, და მცირე კრედიტის გარანტია შეპირდა მას ლონდონის ბირჟაზე. მაგრამ ამას მოჰყვა ტრავიანტების დამარცხება არჩევნებში და გამარჯვებულმა კონსერვატიულმა მთავრობამ თავზე გადაახია რაკოვსკის ეს შეთანხმება, და თვით ისიც ლონდონიდან გაისტუმრა.

დღეს რიგზე რაკოვსკი უდგას მოსკოვის დელეგაციას პარიზში სათავეში, და, მამასადამე, თავის თავით ისმის კითხვა, რით განსხვავდება დღევანდელი საერთაშორისო ვითარება მაშინდელისაგან? უწყობს თუ უშლის ხელს ეს განსხვავება მოლაპარაკების კეთილად დაგვირგვინებას? რამდენად ძლიერი არა სუსტი, ერთის მხრით, საფრანგეთის და, მეორეს მხრით, რუსეთის პოზიცია ამ მოლაპარაკებაში?

მოსკოვის რომ კვიტონთ, დღევანდელი საერთაშორისო ვითარება ხელგამოჭრილია იმისთვის, რომ პარიზში—სწორედ პარიზში და არა მან—ვიდოს რუსეთთან დაახლოება! ლოკარნოს შემდეგ—ამბობს ის—საფრანგეთის როლი მეორე-ხარისხისაა ვეროპაში. მას უკარანახებს თავის ნებას ინგლისი, და, თავი რომ დააღწიოს ამ ყმობას, ის იძულებულია ჩვენ დაგვიანდოდეს. გენუის დროს 1922 წ. იგივე მოსკოვი ამბობდა: ვეროპას ევირება რუსეთის დახმარება და არა წინაუგმოდ. ესეა უფრო ზომიერი ის—ვეროპას არ პირდება «ხსნას», მაგრამ მით უფრო მოწადინებულია საფრანგეთს უშველოს!

ეს ბაქიბა, შინაურებაშიც გახუბებული, არავისთვისაა დღეს საინტერესო. მოსკოვის იმის მიხედვით არა აქვს, რომ საინტერესოა ამ შემთხვევაში არა საფრანგეთის, არამედ რუსეთის წინა ვეროპაში, ე. ი. მეორე თუ მესამე-ხარისხისაა მისი როლი. რაც შეეხება ლოკარნოს, მარტოა დღეს უიმედოა თუ ალაპარაკებს მის შესახებ მოსკოვი. მართლაც, 1924 წ. პუანკარე მიმართა მოსკოვს—დაეშვა მისი წარმომადგენელი მეთვალყურედ რუსეთ-ინგლისის კონფერენციას, რათა საფრანგეთი განეხილავს არ დარჩენილიყო რუსეთთან პრინციპიული უკავშირება და საფრანგეთი ბევრ რამეში არ ეთანხმებოდნენ მაშინ ერთმანეთს. დღეს კი, ე. ი. ლოკარნოს შემდეგ, ყველა სათავის გასაგონათ ეუბნება ბრიანი ჩიხერინს, უკანასკნელის პარიზში ყოფნის დროს,—ჩვენი მოლაპარაკების მსვლელობას მე, რასაკვირველია, მოკავშირე-ინგლისის ვაცნობებო.

რას ნიშნავს ეს, მოსკოვი კარგად იცის: მას ელაპარაკება პარიზი, მაგრამ რასაც იტყვიან, ის ლონდონს გადაეცემა უმავთლოდ და ეს არა იმიტომ, ვითომ საფრანგეთი ყმად გაუხდა ინგლისს, არამედ ამაში მათი საერთო ინტერესი. აი, როგორ უნდა გავიგოთ ლოკარნოს აზრი და მნიშვნელობა. მაშასადამე, საერთაშორისო ვითარება დღეს გაიკლებით უფრო ნაკლებ ხელსაყრელია მოსკოვისათვის, ვინც ამ ორი წლის წინ. არის სხვა გარემოებაც, მაგ., როცა მაკდონალდი ხელს უწერდა მოსკოვს, ის იძულებული იყო ანგარიში გაეწია ინგლისის მუშების კრუმორწმუნეებისათვის, ვითომ ეს შეთანხმება ბოლოს მოეღებდა უმუშევრობას. მაკდონალდმა ხუმრობით განაცხადა სულ ასე: «არა, რომ ჩემი ხელშეკრულება რუსეთთან თუმცა შეცდომა იყო, მაგრამ კარგი ღირსებისა.» ამით მას იმის თქმა სურდა, რომ იგი, ხელშეკრულება, განკურნავდა ინგლისის მუშებს კრუმორწმუნეებისაგან. საფრანგეთში-ეს სტიმულიც არ არსებობს: აქ არ არის უმუშევრობა, როგორც მასიური მოვლენა, პირაქით უცხოელნი პოლემოზენ სამუშაოს.

მოსკოვი ხელზე იხვევს საფრანგეთის ფინანსურ კრიზისს, მისი პრესა შეპნარის ფრანკის დაცემას,—ერთად ერთი ხსნა, მამასადამე, ჩვენთან შეთანხმებაში არისო, გაიძინოს. ესეც თავის მოტყუება არის. ფრანკი ეცემა, მართალია, ხაზინაც კრიზისს განიცდის, მაგრამ თვით ქვეყანა, ხალხი მდიდარია შედარებაც შეუძლებელია გადატაცებულ რუსეთთან. მაგრამ ვთქვათ, საფრანგეთი ღარიბია, რა დასკვნა შეიძლება აქედან გავლდეს? ის, რომ ფრანგები მით უფრო ულმობელი იქნებიან ვალუბის გასტუმრებისა და ნაციონალიზაციის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების საკითხში.

ან იქნება რუსეთი ისე მოლონიერდა ამ უკანასკნელად, რომ მას შეუძლია თავისი პირობები უკარანახოს საფრანგეთს? ასეთი აზრი კრემლის მედრობებაც არ მოსდის თავში. ან კი როგორ მოუვით, როცა ისინი მათ მიერ შექმნილ მოჯადოებულ წრის ტყვე გამხდარან. მრეწველობა საკმაო და ვარჯის საქონელს ვერ ამზადებს, გლეხი პურს არ იძლევა, ჩერკონცი ეცემა... კომპარტიის მე-14 კონგრესი ცხად ჰყოფს, რომ რუსეთის მთელი ეკონომია და პოლიტიკა ისეთ წინააღმდეგობის ჩინშია მიმწყვედული, საიდანაც არავითარი სხვა გამოსავალი არ არსებობს, გარდა კატასტროფიულია.

ამით აიხსნება ის დამახინათებელი ინტერვიუები, რომელსაც იძლევიან რაკოვსკი და სხვა დელეგატები, ვისაც მოლაპარაკება მინდობილი აქვს. თუ გსურთ შეთანხმებას მივალწიოთ, ეუბნებიან ისინი ფრანგებს, ნუ წამოაყენებთ პრინციპიალურ კითხვებს, ვილაპარაკოთ «საქმიანად და პრაქტიკულად». რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ნუ მოგვთხოვთ ძველი რეჟიმის ვალუბის ფორმალურ ცნობას, ნურც ნაციონალიზაციის გაუქმებას თქვენს ქონებაზე რუსეთში, და ჩვენ კი ვეცდებით ნაწილობრივ მაინც დაგაკმაყოფილოთ ერთშიც და მეორეშიც—განმარტავენ ისინი.

ამ რიგით, კრემლის მედრობენი გაუბრბან პრინციპებზე დავას, ისინი წინდაწინ იხრან ქედს ვეროპის ბურჟუაზიის წინაშე და თანხმობას აცხადებენ მისი კარანხი მიიღონ. ოღონდ საქვეყნოდ ნუ გაგვავტყულებთო, იხვეწებიან. ისინი მზათ არიან ნიაჯარს გაატანონ ძველი ვალის წაშლის და ნაციონა-

ლიზაციის დეკრეტები, ოღონდ ეს სხვა სოუსით მოხდეს. რატომ? იმიტომ, რომ განაგრძონ ხალხის გაბიბრება შინ და «პრინციპიალური-მარქსისტული» დავა გარეთ «მოალატე სოციალ-პარტიოტებთან»!

ფრანგებს არაფერი ექნებათ წინააღმდეგი ასეთ «საქმიან» მოლაპარაკების, თუ რამე რეალური გამოდგება აქედან. რას ეხანინ ისინი რეალურს? 25 მილიარდ ოქროს ფრანკის გადახდას და ნაციონალიზაციით მითვსებულ ქონების დაბრუნებას რუსეთში, ან ზარალის ანაზღაურებას.

შესაძლებს ამას მოსკოვი? ვერა, რა თქმა უნდა. მას რომ რისიმე გადახდა შეეძლოს ესლავე, უშეველია—საგრანობლად დაუკლებდენ როგორც ვალს, ისე ზარალს. დაუკლებდენ ალბათ მაშინაც, თუ ის გასცემს არა მარტო თამასუქს, არამედ რეალურ გარანტიასაც დაურთავს ამას ზედ. მაგრამ მოსკოვი იმისთვის ხომ არ გამოაზნავს აქ კაცები, რომ ვალი იხადოს, არამედ იმისთვის, რომ კრედიტი მიიღოს და მის მიერ შექმნილი საბჭოთა ხუნტლაკი თავზე არ დაეწერეს!

აი, პრობლემა, ან უკეთ—კვანძი, რომლის გახსნა მოუხდება რუს-ფრანგულ კონფერენციას, და, უშეველია, ბევრ ფელს დაღვრიან დელეგატები, სანამ ამას მიაღწევენ. რუსები ალბათ თავის ანგარიშსაც წარმოუდგენენ ფრანგებს, მოითხოვენ ვერ, წოდ. ინტერვეციისგან მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას. ეს იქნება, ასე ვთქვათ, გაღმა შედეგება, თუმცა ამ ფანდის თვითონაც არაფერი სწამთ. ისინი ისევე კონცესიებით მოინდომებენ ფრანგების გულის მოგებას და ამ შემთხვევაში კავკასიის სიმდიდრეანი ყველაზე გემრიელ ლუქმად იქნება მიჩნეული. მაგრამ კონცესიებთან არის დაკავშირებული სახელმწიფო მრეწველობა, საშინაო და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და სხ. რას უპასუხებენ კრემლის მედრობენი, თუ ამ «ბრძანებლობის სიმალეებიდან» ჩამოსვლის კითხვა დაუყენეს მათ? ჩვენ არას ვამბობთ პოლიტიკურ და მოქალაქობრივ გარანტიებზე, რომელიც თავის როლს ითამაშებს მოლაპარაკების დროს. ამას ვერ აცდენ გერმანელნიც, როცა სავაჭრო ხელშეკრულებას სდებდენ რუსეთთან.

ჩვენ მხოლოდ გავკვირით და ზოგადად შევეხებთ უკვე დაწყებულ მოლაპარაკების ზოგიერთ მთავარ ობიექტს და დავინახებთ, რომ მიღწევის პერსპექტივები ცუდია. მაგრამ უკეთესია, ნუ ვიკისრებთ წინასწარმეტყველობას და დავუცადოთ თვით კონფერენციის მიმდინარეობას.

«ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც»

მე ვიცი, რომ პოლიტიკური პარტიათა ვენბანი ისეთივე ცხარეა საქართველოში, როგორც ქვეყანაში. და ჩემს მხრით დიხანც რომ უადგილო იქნებოდა თქვენთვის ამის გამო საყვედური მეთქვა: განა თვით ჩვენ, ქვეყნელებს, არა გვაქვს დავა ურთიერთ შორის? აზრთა ბრძოლა ხომ სიცოცხლეს იწმობს, მაშინ როდესაც პოლიტიკური აპარტი სიკვდილის სინონიშია. ნორმალურ დროში საქირთა სხვადასხვა შეხედულებანი ერთმანეთს ეჯახებოდნენ, მათი შესხლა-შემოხლა ჰეშმარტების შეუქის მომავლინებელია. ამ შემთხვევაში, როგორც სხვა მრავალშიც, ქვეყნა პავს საქართველოს და საქართველო—ქვეყნას. მაგრამ არის ტრადიციული პირობები, როცა ყველა ამგვარი დავა დაიწყებულ უნდა იქნას, რათა მისი ადგილი დაიუფლოს ერთად-ერთ გრანობამ: გრანობამ ეროვნულმა. მე-18 საუკუნის დასასრულს, საბედისწერო შინაური დავის შემდეგ, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი პატარა ანტიური ენსუბლების დაპყრობას რეალურიეკური საფრანგეთის მიერ, ქვეყნელებმა შესწყვიტეს ურთიერთშორისი ბრძოლა, შექმნეს თავდაცვის საერთო ფრანტი და, როცა 1814 წ. უშიზარ და თავგანწირულ მაკისტრატებმა აღადგინეს ქვეყნის დამოუკიდებლობა, ყველა მემკვიდრეებში შემოკრებენ მათ გარშემო, მოგვინეს რაკველელი ძველი თქმულება: «ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც.»

თქვენ მშვენიერ ქვეყანაში ყოფნის დროს, 1920 წელში, მე ვგრანობდი, რომ მის მთებს მომევიკური საფრთხე დასტრიალებდა: დარიალის საშიზარ გასვლაში, თქვენსა და რუსეთის საზღვარზე, რუსის პოსტი ამართულიყო; ტანში შემზარავი ქრუანტელი მივიღიდა, როცა ვიჭირობდი თუ რა უნდა მომხდარიყო იმ საბედისწერო დღეს, ჩრდილოეთის ურდოები რომ საქართველოში მოხვდებოდნენ და ცეცხლსა და სისხლს დაანთხებდენ. ვაი რომ შიში ამიხდა! ათი თვეც არ დასჭირდათ, რომ ყველა თავისი დაპირებანი დაევიწყებიათ და მათ მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება ფეხებზე გაეთელათ: ბოლშევიკებმა დაიკავეს თქვენი ქვეყანა და მას კისერზე ჩაგვრის უღელი დაადვეს.

დღეს თქვენი ხვედრია ლოდინი: მიძიმე, მტკივნეული ლოდინი. განვლეთ მთელი საუკუნე უცხო ბატონობისა, რომ მხოლოდ 3 წლით გესუნთქათ თავისუფლების ჰაერი. მაგრამ როცა დილტვებს ერთხელ უგვიმიათ თავისუფლების სიტკბობა, სხვა პაერი ხომ აუტანელი ხდება მათთვის. თქვენი ლოდინი—სხნის ლოდინია. იქაიეთ მომავლის ნდობა და იმედი, როგორც ჰქონიათ წარსულში თქვენს წინაპართ: ხსნა არ შეიძლება არ მოვიდეს—ის მორალური აუცილებლობაა.

მე ვინახულე პარიზში თქვენი გადმობრველი მთავრობა. მას სწამს მომავალი, რადგან ის ყველა ნამდვილი ქართველის თანაგრანობით და ნდობითაა გარშემორტყმული. უკიდურეს მემარჯვენეებიდან უკიდურეს მემარცხენეებამდე, ყველა ხელმძღვანელი იღწვიან ერთად, ერთი მიზნისათვის: ჩაგარულ სამშობლოს ხსნისათვის! ნაციონალიზტი და სოციალისტიც დღეს მხოლოდ როგორც ქართველი იბრძვის. «სამოთე ერთობა» განხორციელებულია. სასოებით მოუარეთ მას, ძვირფასო. მეგობრებო! თქვენთვის—როგორც ყველა ჩაგარულ ერისთვის—ის ერთად-ერთი საშუალებაა თავისუფლების დაბრუნების მოსამზადებლად. მოიგონეთ მსოფლიო ომის დროის ბელგია: მტრის მიერ დაპყრობილმა, განადგურებულმა, მან აღმართა «სამლოთ ერთობა»-ს დროშა. მის გადახვეწილ მთავრობაში ყველა პარტიები ერთად და თანხმობით მუშაო-

ბდენ. თვით ბელგიის მიწაწაღზე ბელგიელი ბელგიელს ძმათ მიიჩნევდა. ამ ხალხმა შეისძლო განსაცვიფრებელი გმირობით შეესრულებია ძველი თქმულება: «ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც!»

და ბელგია განთავისუფლებულ იქნა. სერბიამაც, მტრის მიერ დაკავებულმა, მოიპოვა ხსნა. და კიდევ რამდენმა, ხშირად საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებლობის მწყურვალე ერმა: პოლონეთმა, ფინლანდიამ, ჩეხოსლოვაკიამ, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონიამ! თითქოს სრულიად უიმედო პირობებშიც კი არასოდეს მისცემიან ისინი სასოწარკვეთილებას. ერი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიგვივს მსოფლიო რუქიდან, თუ მისი ეროვნული სული მოკვდა. თქვენი სული, ქართველო მეგობრებო, ცხოველზე უცხოველესია: მისი ქლერა ვიგრძენი მე თქვენს ქალაქებში, თქვენს სოფლებში, თქვენს მთებში 1920 წელს, როცა, თავისუფალნი და მხიარულნი, თქვენ დღესასწაულობდით აღდგენილ დამოუკიდებლობას. ვიგრძენი მისი ღელვა აგრეთვე პარიზში 1925 წელს, თქვენი კოლონიის წიაღში, როცა ბოლშევიკური ხიშტის მიერ სამშობლოდან განდევნილი თქვენი ეროვნული ბრძოლის გმირები მოუთხოვრდნენ თავის მომძებთ ჩაგარულ სამშობლოს ტანჯვა-ვაებას. ტანჯვაში მეტად ვინც სიხარულში, განმტკიცებდა მეგობრობა, ერთიანდება მოქმედება, იზრდება წინააღმდეგობის ძალა, გამოიწოთობა ნებისყოფა. და სწორედ ტანჯვაში, უბედურებაში ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, დღმა აზრი და ღირებულება ძველ თქმულებას: «ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც!»

ჯერ არ დამდგარა გადაწყვეტი დრო, ჯერ არ აღსრულებულა ყამი, როცა ერთს თავისი ბედი სასწორზე უნდა ისროლოს: პირობები ამისათვის ხელსაყრელი არ არის. ესეა საქირთა მოთმინება გამძლეობისათვის. და მოთმინება ხომ მეტ სულის მიმტკიცეს მოითხოვს, ვინც ძალის ამოქმედება. საქირთა ახალგაზრდა თაობაზე ზრუნვა, მისი მომზადება საქართველოს ბრწყინვალე მომავლისათვის. მშვიდი, ფხიზელი და იმედიანი გამძლეობის უნარი საუკეთესო საშუალებაა სათაყვანო ეროვნულ მომავლის მოსამზადებლად.

დღეს თქვენ გმართებთ სიფხიზელ და მზადება. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი იმგვარათ უნდა მოიმართოს, რომ გადაწყვეტ დღეს, როცა ხელსაყრელი მდამარბობა ძეიქმდება, უნდა იგანდეს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს აღიარება.

თქვენ გყავთ მეგობრები ქვეყანაში, პარიზში, ბრიუსელში. თქვენ გყავთ მეგობრები ლონდონში, ამერიკაში; აგრეთვე—ბერლინიში, პრაგაში, ვარშავაში... ყველგან, საცა კი თავისუფალი ადამიანი მოსურნია, რომ მისი ძმაც თავისუფალი იყოს, ყველგან, საცა კი გაისმის პრეზიდენტ ვილსონის განამთავისუფლებელი სიტყვები: «თვითუფ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება»


ჩვენი «საერთაშორისო კომიტეტი საქართველოსათვის», რომელიც თავის საშუალებათა მიხედვით, იღვწის თქვენი საქმის დასაცავათ, შესდგება სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა სარწმუნოების, სხვადასხვა პარტიის მოქალაქეთაგან. აქ არიან შვეიცარელები, პოლანდიელები, ინგლისელები, ფრანგები, ბელგიელები, ამერიკელები, გერმანელები, პოლონელები, ჩეხები... აქ არიან პროტესტანტები, კათოლიკეები, ანტიკრებები. აქ არიან კონსერვატორები, ლიბერალები, დემოკრატები, სოციალისტები (გვჯალია მხოლოდ და საბედნიეროთ კომბოსტო-ბოლშევიკები!) და ყველა ესენი, ვინც ჩვეულია ურთიერთ შორის ბრძოლას პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ, ეკონომიურ აზრთა და რწმენათა სფეროში, გაერთიანებულან, რათა თანხმობით გააკვიდნენ თქვენი საქმის დასაცავათ. ეს ნამდვილი სასწაულია, საქართველოს მიერ მოხდენილი: თქვენი ქვეყნისათვის მათ მოიგონეს ძველი ალტქმა: «ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც!»

ძვირფასო ქართველო მეგობრებო, თქვენ, ვინც იქ, დღემოთ მოცულ ქვეყანაში გმინავთ ჩაგვრის უღელ ქვეშ, და თქვენც, ვინც აქ, ჩვენს ახლოს, დასტორით სამშობლოს დამორბება—არ გაიტხვით რწმენა საქართველოს სასახლო მომავლის! მრავალ ათასი წლის განმავლობაში თქვენი გულისათვის გაუძლიათ მტრის წინააღმდეგ თქვენ წინაპართ. დადგა თქვენი რიგი: თქვენც უნდა გაუძლიათ მტრის თქვენი შთამომავლობის გულისათვის. მედგართ! წარსულში საქართველო არა ერთხელ ყოფილა მოწამე უცხო ურდოთა მიერ გადაწყვარ მის ქალაქების, განადგურებულ მის სოფლების. მაგრამ ჩაგვრის ხანა გადაივიდა და ის თავის დამოუკიდებლობას კვლავ მოიპოვებდა. ესეა ისევე უნდა აღსრულდეს. ბნელ დღეებს ბრწყინვალე ხანა მოჰყვება. თქვენ კვლავ მოიპოვებთ თქვენს თავისუფლებას და თავაწეულნი, როგორც დამოუკიდებელ, თავისი ბედის ბატონ-პატრონ სახელმწიფოს შექმერის, შეხვალთ თავისუფალ ერთა დიად ოჯახში.

მოკრძალებით გადაეცით თქვენს შთამომავლობას თქვენი წმიდა ტრადიციები. და ნურასოდეს დაიფიქვებთ, რომ ქართული ანდაზა «გული გულს იცნობს» ტოლია ქვეყნის თქმულების: ვინც ერთს ესხმის, ესხმის მეორესაც!»

ქან მარტენი,
თავმჯდომარე «საერთაშორისო კომიტეტის საქართველოსთვის».

რედაქციისაგან. ეს წერილი უძღვნა «დამოუკიდებელ საქართველოს» ცნობილმა შვეიცარელმა პუბლიცისტმა, მისი ქვეყნის უგაგლენიანეს გავითის. «უერთად დე ქვეყნის», რედაქტორმა, ბ. ქან მარტენმა. 1920 წლის წახვლულში ბ-მა ქან მარტენმა იხანხლა თავისუფალი საქართველო; შვეიცარიელ პარტიოტმა ადვილათ იგრძნო და გაიგო ჩვენი ეროვნული «სულის ქლერა» და ამ დროიდან ის განადა ერთგული მეგობარი საქართველოსი, დაუღალავი ქმობა მისი უფალი უფლების, აღტაცებული მალადებელი მისი განთავისუფლების აუცილებლობის.



რ ა ვ კ ა ნ ა თ დ დ ე ს ?

ხუთი წელია ბოლშევიკები აბედნიერებენ საქართველოს... რა არის ეს დრო ხალხის ცხოვრებაში? ერთი წელი! მაგრამ აბა ერთი სინჯეთ და ჩამოთვალეთ, რაოდენი სიკეთე შეჰყარეს მათ ჩვენ ქვეყანას ასე ცოტა ხანში! ტყუილად გაირჯებოთ: ვინ დათვალა ქვემო ზღვაში, ვარსკვლავები ცაში! საქმაოა ვსთქვათ, რომ საქართველომ ამჟამამდე მრავალტანჯული ხალხი აუცილებლობის საშუალოდ უკვე აიყვანეს და პირდაპირ თავისუფლების წიაღში გადაასუპეს.

ხუთი წელია მოსკოვის ხელისუფლება ცდილობს საქართველოს გაუბედურებას, განადგურებას: ცდილობს შეაჩვიოს ის მუცელზე ხოხვას, პირუტყობს, ბედის მორჩილებას, სისხლს, ჯალათობას, ჯაშუშობას, დემავგოიას, უბრინცილობას, ავანტიურისტობას, ძალბომბობას; ცდილობს სიძმობის და მოწვევებით აქციოს მისი ეროვნული შეგნება, თავმოყვარეობა, სასაცილოდ განადგოს მისი წარსული, დახშოს მისი შემოქმედება, ჩაღის ფასად გაყიდოს და გაანიაგოს მისი ნივთიერი განძი, სიმდიდრე, ავლადიდება.

აბედნიერებენ საქართველოს ბოლშევიკები მთელი თავისი სიტყვებით, აუბედურებენ მთელი თავისი საქმეებით; რამდენათაც უფრო მაღალია მათი სიტყვა, იმდენათ დაბალია მათი საქმე. მაგრამ ძლიერია ქართველი ხალხში სიცოცხლის ინსტიქტი და ცხოვრების უნარი; ის იბრძვის და იბრძობს სახანო თავის ქვეყანას ისე დაუპატრონებოდეს, ეს ბრძოლა მისგან მოითხოვს უდიდეს მსხვერპლს, უსამზღვრო ენერჯიას. შეუდრეკელ ნებისყოფას, იშვიათ თავდადებას, მსურველ ენტუზიაზმს, დაუშრეტელ იმედს; მას ეს ყველაფერი მოუპოვება, მან ეს დაამტკიცა. საქართველო იბრძვის არსებობისათვის, ამ ბრძოლას მოითხოვს მისი ინტერესი; ქართველი ხალხი იბრძვის უდიდესი ღონისძიების, ერის თავისუფლებისათვის; ამას მოითხოვს მთელი მსოფლიო დემოკრატიის ინტერესი; ის თავს სწირავს თავის საქმეს და ეწირება ქვეყნის ინტერესს. მას ეჭირვება დახმარება; ის მოითხოვს კიდევ ამას და აქვს ამის უფლება. მას დახმარება უნდა ინტერვენციის, ოკუპანტების წინააღმდეგ და არა ინტერვენციისათვის.

ქართველი ხალხი შორს არი ყოველი კომბინაციისგან, რომელსაც ოდნავ ავანტიურის სუნი უდის; ის სხვის იარაღით არ განდობა, ბეწვის ხიდზე არ შედგება, თუნდ სამოთხე აღუთქვან მას ამ ხიდის გადამს; ის არჩევს გზას, რომელსაც კაცობრიობა მიყავს ერთა თავისუფლებისა და სოლიდარობისაკენ; ამ გზაზე ისარგებლებს ყოველი შემთხვევით, გარემოებით და პირობით, რომელიც მას ნამდვილად გაუადვილებს და შეუმჯობესებს ამ გზას. ამ გზით აბამს ის კავშირს თანამშრომლობისას, თანაგრძობის და დახმარებისას.

რუსეთთან საქართველოს უნდა საუკეთესო დამოკიდებულება. ამისთვის საჭიროა ერთი აუცილებელი პირობა: თანაბრობა; თანაბრობა უპირველესად ყოველისა მოითხოვს რუსის პარის ჩვენი ქვეყნიდან გაყვანას; ამით მომზადდება წინასწარი პირობა კაი განწყობების, საღი დამოკიდებულების. სხვა გზა უარყოფითია და იქნება შემდეგშიც.

ვერვინ შეძლებს საბოლოოდ საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა განადგოს რუსეთის შინაგან საკითხს; რატომ? იმიტომ რომ ეს წინააღმდეგება კაცობრიობის სინდისს. მის შეგნებას, მის წარმომადგენლს სიმართლეს, სამართლიანობას, თავისუფლებას, ბოლშევიკებს სინდისი ვინ მოეითხოვს! მართალია, მაგრამ კაცობრიობა ჯერ არ გაბოლშევიკებულა და მოსკოვის მთავრობას ქვეყანა არ დაუპყრობს. ეს ერთი მეორე, ბოლშევიკური რუსეთის საქმე და დღევანდელი მისი მდგომარეობა თვით არ არი მარტო რუსეთის შინაგანი საკითხი; ის მთელი თავის სიგრძე-სიგანით, შინაარსით, წამოქმდილია კაცობრიობის თვალწინ; ის მსოფლიო პრობლემა და მოთხოვნა დაუყოვნებლივ ყოველმხრივ გადაჭრილ პასუხს, რასაკვირველია არა ცეცხლის და მახვილის საშუალებით... არა ინტერვენციით და ბლოკადით.

რუსეთის თვალუწვდენელ ვაკეზე, ველზე, მისმა მეფეებმა საშინლად ველარ დაინახეს და ქვეყანა თავის სათარეშო ასპარეზად მიიჩნიეს; ხშირად, ძალმომრეობა და ძარცვა თავის იარაღით, საქმით და ხელობით გაიხადეს, მართლმადიდებლობის სახელით მოსახლურებებს და მესობლებს სიცოცხლე გაუშწირეს. ბედი აწყვედინეს, დღეს ამასვე ჩადის საბჭოთა მთავრობა კომუნისტების სახელით, რასაკვირველია, მეტის გაცაცებით, ქვივით და ხალისით, მეტის ცინიზმით, მეტი მოხერხებით და თვალთმაქცობით. კაცობრიობის საერთო არსებით ინტერესი მოითხოვს, რომ ამას დაუყოვნებლივ ბოლო მოეღოს. რუსის ხალხის ძალა, ენერჯია უნდა დაუბრუნდეს და მოხმარდეს მის შინაგან საქმეებში, შემოქმედებას, აღარჩინებას. რუსეთის კომუნისტური იმპერიალიზმი, ეს ახლად შევსებული და შესწორებული გამოცემა მეფის იმპერიალიზმის უნდა მისიას და მისი მაწარმოებელი ორგანო საბჭოთა ხელისუფლება გაუქმდეს. რუსეთის ბედ-იღბალი მის ხელში ვერ დარჩება, მას თვით ხალხი უნდა დაეპატრონოს.

მით უმეტეს შეუძლებელია ქართველი ხალხის თავისუფლების, ყოფა-ცხოვრების, განვითარების, მისი დამოუკიდებლობის საკითხი მსკოვის ხელისუფლებას მიუძღვნოს ვინმე ფეშქეშთან და რუსეთის შინაგან საკითხთან აქციოს. ნათქვამია სახარტე აილე, სატიალზე დაყარეო. ამ თქმულების მიხედვით რუსეთ-საქართველოს საკითხი არ მოწყობრდება.

ქართველ ხალხს კაი ურთიერთობა უნდა სხვა მეზობელ-მოსახლურებთანაც. მას შესტკივა სხვისი სატკივარი, შესტკირის მეზობლის გასაჭირი, სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერებას არ აშენებს. სხვისი აღმოფხვრის, განადგურების მნატველი არ არი; ის თავისუფალია ყოველივე ანექსიონისტური მიდრეკილებისგან და მხათ არი, თუ რამ სადაოა, მარტოებით და აბოლოვოს, კეთილსინდისიანი შუამავლის დახმარებით გადასტკრას. ამის მაგალითი მას ბევრი აქვს; მას არ აქვს არც მადა და არც ქვიფი აკმაყოფილოს ვისიმე უსახლვრო პრეტენზიები.

ქართველები არ ებრძვიან დღეს ერთ ტირანიას იმისთვის, რომ ხვალ გულში მეორე ჩიკრან. ვაის უისთვის არ ვეყრებით და ცეცხლს—აღ-მურისთვის, ქართველ ხალხს სწურობა შემოქმედება, შრამის, წარმოების, განვითარება; მას უნდა შექმნას ნოყიერი ნიადაგი ეროვნული კულტურის, სოციალური პროგრესის, კეთილმოწყობის. ამისთვის მას უჭირვება დემოკრატია, სრული პოლიტიკური თავისუფლება; ესა-ჭიროება ცოდნა, გამოცდილება, დახმარება; ამისთვის მას უნდა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ, კავშირი და დამოკიდებულება ევროპასთან; ქართველი ხალხი მხათ არი უხვით მიავსო სამაგიერო მტოდნე, გამოცდილ დახმარებს, თანამშრომელს, რასაკვირველია არა იმ სახით, რომ საქართველო სახელით იყოს მისი, სახარავათ სხვისი, ასე ბოლშევიკებიც შერტყობან.

საქართველოს ყველაფერი ახლავს დამოუკიდებლობისათვის: ხალხი ღირსეული წარსულით და დიდი მომავლით. ტერიტორია აღურაცხელი და დაუღვევლი სიმდიდრით, იშვიათი მდებარეობით. არ არი და არც იქნება სამართლიანი

მოსახრება, კანონიერი საბუთი მისი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მას დღეს წინ უდგია მხოლოდ ძალა უხეში, უგლი-გარჯი, განანადგურებელი, უაღრესათ შემკული ყველა უარყოფითი თვისებებით.

ასეთია მოკლე ვეროპის საზოგადოებრივი წერი საქართველოზე; ასე აქვს მას გაგებული და შეთვისებული ჩვენი ამბავი.

ახლა ამას შემდეგი უნდა დაეძინოთ და ვამცნოთ ქვეყანას, ყველა ხედავს, რომ დღეს საბჭოთა რუსეთში გულუბრე-ყვილი, კეთილმორწმუნე (როდის იყვნენ?) კომუნისტები მიყავთ (სად და, რისთვის?), კომუნისტური კულაკები—ჩვენებურათ ჯაყოები—(მეტად ესპერიობა?) მოკყავსთ (იციან რისთვის?); დროთა კომუნისტების თითქმის მთლად დახვეწის და დასწივის, «მერხავიკი» განახლეს და ასწიეს, გრიგოლ პირველი დაკვირით წესით ჩაახიქეს, მის დამაქმებელს ლავამი ჩაკრეს და დაახვეწინეს, ყოფა პლანეტარულად ბოლშევიკურ ობაფხეზაზე შემდგარი წინ წამოგვიმეს, რათა ყოველივე ეს იხილოს ევროპის ბურჟუაზიამ, ასწიონ-დასწიონ, დააფასოს, გულზე ხელი დაიდვას და სინდისის წინაშე სთქვას დაბოლოსაც არი, რას დეკრობს ახლა მაინც ის კრედიტზე; იძლევა თუ არა? კმარა უნდალობა! ვსთქვათ იგივე უფრო მოკლეთ: არასოდეს საბჭოთა ხელისუფლება ისე მონადომებული არ ყოფილა რა-გარც დღეს, რომ უკომუნისტობისა გამო თავისი საკუთარი ხელი მოაწიროს ვექსილზე, ვისი სახელითაც გნებავს და რაც შეიძლება მალე გაყიდოს რუსეთი მოკავშირეებში.

ამისდა მიხედვით ქართველი ხალხი თავის მხრივ ადასტურებს, რომ არასოდეს ისე მტრულად განწყობილი არ ყოფილა მოსკოვის ხელისუფლების მიმართ, როგორც არი დღეს, რომ ახლა კიდევ უფრო მიუღებელია მისთვის ვინმე წინეთ ყოველი ნაბიჯი, რომელსაც მისი სახელით წარსდგამს რუსეთის დღევანდელი მთავრობა, რომ ქართველი ხალხი ამხანად უფრო მეტის ენერჯიით და ერთსულვნობით მოითხოვს საქართველოში ოკუპაციის მოსპობას, რუსის ჯარების გაყვანას ვინმე ოდნემე, ბოლშევიკების მორტივი ავანტიურა გვაყარებს ეს ვამცნოთ ქვეყანას, ეს უნდა ვქნათ დღეს.

კარლო ჩხიკიძე.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს ბ რ დ ე ლ ე მ ა .

საქართველოს განთავისუფლების საკითხს შეიძლება ზედ გადაეწინას საკითხი მთელი კავკასიისა, ვნახოთ, რა პირობებია ამისთვის და რას წარმოადგენს იგი ჩვენთვის?

მ შ ვ ი დ ლ ბ ი ა ნ ო ბ ა და რ უ ს ე თ ი .

კაცობრიობის ნატურა და სურვილია მშვიდობიანობის დამყარება, მაგრამ რა მშვიდობიანობა უნდა დამყარდეს ქვეყანაზე, როცა რუსეთის ზრდას და ტერიტორიულ გაფართოებას ვერ დაედო საზღვარი და ვერ მოეღო ბოლო. მას უჭირავს ესლა ნახევარი ევროპა და თითქმის ნახევარი აზია, მაინც არ კმაყოფილება ამით. სულ მიიწევა სამხრეთისაკენ, იპყრობს სხვადასხვა ერებს, ანადრებებს მათ კულტურას და თავისუფლებას და არ უნდა შეჩერდეს არსად, სანამ არ მიასწევს თბილის და თავისუფალ ზღვებს. ასეთია სურათი შავი ზღვიდან მოყოლებული ვიდრე იამაზისის ზღვამდე. ჩვენ ვიცით, როგორ დაიპყრო რუსეთმა კავკასია. ჯერ დაუახლოვდა საქართველოს, შეკრა იმასთან მკაცრი ხელშეკრულება, მერე დალატით და ცბიერებით ჩივდო ხელში მისი ტერიტორია; შემდეგ თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში, აწარმოა ბრძოლა კავკასიის სხვა ერებთან და დამორჩილა იგინი. რუსეთის მუდმივი ნატურა იყო ჩაეღო ხელში ბოსფორის სრუტე და გაეხდა შავი ზღვა თავის შინაურ ტბად. ევროპამ მოუპრა გზა ბალკანეთში, აქ აღუმართა წინ ორი სახელმწიფო—ბულგარეთი და რუმინია. ამიტომ კავკასია გახდა უმთავრესი პლაკ-დარმი იმევე მიზნის განსახორციელებლად, და რუსეთი ეძებდა ხელსაყრელ მომენტს, რომ აქედან შემოეღო შავი ზღვისთვის და გასულიყო ხმელთაშუა ზღვაზე. ოსმალეთს დაეკარგა ძილი და მოსვენება.—არა უკეთეს ყოფაში იყო სპარსეთი. აქ რუსეთმა მისი საკუთარი მთლიან კასპიის ზღვა, შეუღვა მრავალ ზღვის გაყვანას, დაარსა ნანკი. მოაწყო სამხედრო ძალა თერანში, ფაქტიურად დაიპყრო ნაწილი სპარსეთისა და დღეს თუ ხვალ უკვე მხად იყო მოემავრა ფესი ინდოეთის ოკეანეს პირად.

ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ი მ პ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი .

ბოლშევიკურ რუსეთმა თუმცა გამოაცხადა ღონისძიება, ერთა განთავისუფლებისა, მაგრამ გამოცხადება ერთია, საქმე კი სულ სხვა. ამ ღონისძიებით ბოლშევიკები ცდილობენ მხოლოდ თვლი აუხვიონ სხვადასხვა ერს, რომ უფრო ადვილად გაეგრცლონ მათე თავისი ბატონობა. თუ რომელიმე ერი ისე ეგბრევიდა, რომ გამოაცხადა სოვეტური ხელისუფლება, ის იმავე დროს ითვლებოდა ბოლშევიკური რუსეთის ნაწილად და შედიხს რუსეთის სოციალისტურ კავშირში. საქმარისა პატარა ჯგუფიც კი თავზე ხელ-აღებულ პირებისა; თუ გამოაცხადეს სადმე მივარდნილ სოფელში ან ხევში საბჭოთა ხელისუფლება, მთელი რუსეთი თავის ოვაგელობად სთვლის ჯარით და წარბაზნებით მიეშველოს მათ. რომ განთავისუფლოს ერი ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, შემოიჭრას უცხო ქვეყანაში, დაიპყროს იგი, დაახრის და დახვრეტოს იქაური მამულიშვილები და შემოუერთოს ეს ახალი ქვეყანა რუსეთს! აი ეს იმპერიალიზმი, რომელიც უარს ჰყავს ყოველ სინდისს, უფლებებს და თავისუფლებას, ემუქრება მთელს ქვეყნიერებას. იგი შეიძლება მოედოს მთელს მსოფლიოს, დამარცხოს ჩვენი დროის ცივილიზაცია და რამდენიმე საუკუნით მაინც უკან დასწიოს მთელი კაცობრიობა.

ს ა ფ რ თ ხ ის წ ი ნ ა ა ლ მ დ ე ე .

საინტერესოა თვალი გადავაგლოთ, თუ რა ჰქნა ევროპამ და რა ზამბები მიიღო ამ საფრთხის წინააღმდეგ?

განათლებული ხალხის გასულილება ისე ადვილი არ არის, როგორც ეს მხდა რუსეთში. ევროპაში ბოლშევიკი ფესს ვერ იკიდებს, თუცა რასაკვირველია ყველგან მოიპოვება ცოტადენი შესყიდული ან გაბრიყვებული პირები. საზოგადოდ კი მთელი ევროპა ცდილობს აღმართოს და გაამაგროს სახელმწიფოებრივი დამბები ბოლშევიკურ ტალღების შესაჩერებლად. მან აღმართა კიდევ ეს დამბები: ასეთია—ფინლანდია, ესტონია, ლატვია, ლიტვა და პოლონეთი. ეს ქვეყნები ჩამოყდნენ ძველ რუსეთს და შექმნეს თავიანთი ეროვნული სახელმწიფოები. ბოლშევიკების დამარცხებას წინ აღუდღი შემოქმედელი ძალა სამშობლოს იდრესა. ევროპამ იცოა კანონიერად შემოერთება ბესირაბიისა და ამით უფრო გააძლიერა რუმინია ამ ნაირად დასავლეთით რუსეთი შემოტყმულია ეროვნული ჯაჭვით, რომლის მიხედვით იმისთვის შეუძლებელია.

ლოზანაში დადგა საკითხი ბოსფორის და დარდანელის სრუტეებისა. აქაც რუსეთის მოთხოვნა უკუგდებულ იქნა, სრუტეები თავისუფალია ყოველ ნაოსნობისათვის და შავი

ზღვა არამც თუ არ არის რუსეთის საკუთრება, თუ პირდაპირ აღიარებელია თავისუფალ ზღვად, სადაც ნებისმიერ ხალხს აქვს ყველას, განსაკუთრებით მონაპირე სახელმწიფოებს, სახელმწიფოთა შორის მახსენებელია ნებისმიერი ხალხის კონფერენციამ ის სამართლიანობაც კი დამოიხინა, რა ერთი ადგილი უკვე მიანიჭა თავისუფალ საქართველოს იმ საერთაშორისო კავშირში, რომელიც დაარსდა ამ სრუტეების შესახებ.

ამ ნაირად, რუსეთის ირგვლივ შემოტყმულ ჯაჭვს მიემატა კიდევ ერთი რგოლი—სრუტეების და შავი ზღვისა.

შ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ უ ლ ი კ ა ვ კ ა ს ი ა .

ამ რგოლს უნდა მიემტოს კვლავ ახალი რგოლი, რგოლი მეტად მნიშვნელოვანი განთავისუფლებულ კავკასიისა. აქაც უნდა აღიშართოს რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი სიმბაგრე. ეს შესაძლებელია, სამართლიანია და საჭიროც.

შესაძლებელია, ვინაიდან თვით ბუნებამ გამოკვეთა გეოგრაფიული მთლიანობა კავკასიის ყელისა, რომელიც ნამდვილი სიღია ევროპას და აზიას შუა და უნდა იყოს ფაქტური მშვიდობიანობის და არა ასპარეზი რუსეთის სამხედრო ვარჯიშობისა.—სამართლიანია, ვინაიდან კავკასიის ერებმა—საქართველომ, აზერბეიჯანმა, სომხეთმა და ჩრდილო-კავკასიამ—უკვე მოიხვეწეს უფლება თავისუფალ ცხოვრებისა, განსაკუთრებით საქართველოს უფლება, ცნობილი საერთაშორისო მსშტებით, ეყვის გარეშე.—დამოლონ ეს საჭიროა, ვინაიდან განთავისუფლებული და კანფედერატიულად მოწყობილი კავკასია პნიშნავს მშვიდობიანობის დამყარებას მცირე და წინა აზიაში და ეკონომიკურ-ფინანსიურ განწყობილების განვითარებას ევროპა-ამერიკასთან.

კავკასიის პრობლემაში ჩართულია მსოფლიო ინტერესი. ეს ინტერესი უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა კავკასიის თავისუფალი ერები შევლენ «ერთა ლიგაში», როგორც სრულ-უფლებიანი მისი წევრნი.

ამ ნაირად, თუ საქართველოს განთავისუფლების საკითხს ზედ გადაეწინა საკითხი მთელი კავკასიისა, აქ ჩვენთვის სახიფათო არაფერია: ყოველი გზა მიდის რომში.

ვიკორე ვაჟაშვილი.

მ ე ნ ვ ა ლ - ი ნ ა ნ ე მ , ა რ მ ე ნ ვ ა ლ - ი ნ ა ნ ე მ .

რუსეთი კრიტიკულ მდგომარეობაშია. ის უკვე მიადგა საბედისწერო კარებს, რომელსაც აწერია—«შეხველ-ინანებ, არ შეხველ-ინანებ». დღეს რუსეთის საკითხი აქტუალურია, აქნობამდე ეს ასე არ იყო. რადგან არ იყო საამისო ობიექტიური პირობები: ევროპამ ეკონომიური და პოლიტიკური წონასწორობა დაკარგა და დღემდე ამ წონასწორობის აღდგენას მოუწდა. დღეს ევროპის როგორც ეკონომიური: ისე პოლიტიკური სტაბილიზაცია ფაქტია: შეიკრა რგოლი საერთაშორისო ურთიერთობის. რუსეთი ამ რგოლს გარეშე დარჩა, ის აღარ არის სუბიექტი, განსახლვრული პოლიტიკური და ეკონომიური აქტივობის მატარებელი, საერთაშორისო ურთიერთობის სასწორზე; ის მხოლოდ ობიექტი-მასალაა მასხმარია. ეს ყველა-თვალსაზრისითგან ადვილი დახანახია. რუსეთმა გაუშვა მომენტი, გაუშვა შემთხვევა, როდესაც შეეძლო ქონდა დაფასო და წონა როგორც შიგნით, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში და დღეს არ არის ძალა არც შიგნით რუსეთში და არც მის გარეშე, რომელსაც შეეძლოს მისი გადოვან-მოსილება. ბოლშევიკური რუსეთი მკვდა ეკონომიურათ, მოკვდა პოლიტიკურათ და მოკვდა მორალურათ. მთელი კულტურული კაცობრიობა მთელი თავისი რეალური რესურსებით დგას რუსეთის წინააღმდეგ და ეუბნება მას: დამეშობრეხე, თუ არა და დავიმორჩილებ. რუსეთს რაღა დარჩენია ან უნდა დაემორჩილოს ან და უნდა იბრძალოს. როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში ბოლშევიკი უკვე მკვდარი პოლიტიკურათ და მორალურათ, კვდება ორგანიზაციულათ, ტენეგურათ. ესლა ბოლშევიკები ევროპასთან მოლაპარაკებას იწყებენ, სურთ მას შეუთანხმდეს პოლიტიკურათ და ეკონომიურათ, მაგრამ განა ეს შესაძლებელია, განა შესაძლებელია ორი ერთიმეორის დიამეტრალურათ მიწინააღმდეგის, ერთი მეორის არსებითათ უარმყოფი ძალის მობრეგება, შეთანხმება? რასაკვირველია, არა. ეს კარგად იცის ორივე მოპირდაპირე მხარეში. მაშ, რაშია საკმე? ორივე მხარე თვალთმაქცობს, ხოლო სხვადასხვა მოტივებით: ჯეროპას სურს ნაკლები დაბრკოლებით, ნაკლები მსხვერპლით რუსეთი შინაურ ომთხენი განადგოს, სანამ შესაძლებელი იქნება ხედნოს, აზრ-შავს და შემდეგ ხორციც და ტყავეც მოიხმაროს. ბოლშევიკი იცის ის, მან იცის, რომ ევროპას სურს ის მოხერხებულათ შესანსლოს, იცის და მაინც მიდის მასთან, მაინც ესაუბრება მას. აქაც არის აზრი და მიზანი: ბოლშევიკებმა იციან უკვე, რომ ისინი წარსულს ეკუთვნიან და არა მომავალს (ეს აშკარა დასახანი შეიქნა მათთვის მას შემდეგ, რაც ევროპაში არ მხდა ბოლშევიკური გადატრიალება). ესლა მთელი მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა თვით ლეკვიდაციის პროცესის განახორციელებისაკენა მიმართული. ამ უკანასკნელს მათი შესებლებით ხელს უწყობს სხვადასხვა საერთაშორისო კანფერენციებში მონაწილეობის მიღება და იქ რაც შეიძლება ნაგრობივით წყლის ნაყვა, მომენტებში თავის მოკატუნება, მოპირდაპირესათვის ილიუზიების შექმნა და მით მისი ნებისყოფის მოდუნება. ასეთია ბუნება და აზრი ბოლშევიკებისა და ევროპის დღევანდელი ურთიერთობის.

ასე რომ საერთაშორისო ურთიერთობა რუსეთისა ოდნავათაც არ გაუმჯობესებულა, პირიქით გაუარესდა, რადგან განსაკუთრებით უკანასკნელი წლები მისი ყოველმხრივი სოცოტრის აშკარა დემონსტრაციაა. ის ცნობდა, რომლითაც ინფლისმა, საფრანგეთმა და სხვა საჩელმწიფოებმა «გააბედ-ნიერეს» რუსეთი, დღევანდლამდე ხამ ნამდვილი ფიქციაა, ახლო მომავალში ეს კიდევ უფრო აშკარა დასახანი შეიქნება. ბოლშევიკი, როგორც ვსთქვით, საბედისწერო კარებზეა მიმდგარი, მის წინაშე დგას ყოფნა არ ყოფნის საკითხი, ყოფნა არ ძალუქს, მაშ უნდა მოკედეს და ის მოკედება. მაგრამ პატარა საქართველო? საქართველ ეს ბედი, მისი მომავალი, ჩვენდა საბედნიეროთ, კითხვის ქვეშ არ დგას. საქართველო ეროვნულად, კულტურული და მორალური ძველამ ახილებდა. ის განუსაზღვრელი ავტორიტეტი და პატივისცემა, რომელიც საქართველოს და ქართველს აქვს ევროპაში, ის დაუშრეტელი ენერჯია, ენტუზიაზმი და თავგანწირვა, რომლითაც ყოველი ქართველი სამშობლოს მომავლის გამოკუნდას ემსახურება—გარანტიაა იმისა, რომ საქართველოს ბედნიერი მომავალი უზრუნველყოფილია.

ილია ნუგუზიძე.

